

## შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

დადგენილება №046550

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

4 მარტი 2025 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამომტანაზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის უფროსი იურისტი ნინო ჯიშკარიანი.

2. საქმის განხილვის თარიღი: 04.03.2025 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი რევაზ ხუბუა პ/ნ 19001021857; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფელი შამგონა კ.გამსახურდიას #9; აბონენტის ნომერი 11149922035; ტელ.: 571202126.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა რევაზ ხუბუას, როგორც ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №046550 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, რომლის თანახმად, რევაზ ხუბუას საცხოვრებელ სახლში, აღმოჩენილ იქნა უკანონო მოხმარების ფაქტი, მრიცხველზე ზემოქმედებით, კერძოდ კი მრიცხველის ამთვლელი მექანიზმის კორპუსს ქვემოდან აღენიშნებოდა გამჭოლი ნახვრეტი. აღნიშნულის გამო მრიცხველი მოიხსნა, დაილუქა და გაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ტრასოლოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად. საქმეზე თანდართულია ფოტომასალა, აღრიცხვის კვანძის დათვალიერების აქტი, მრიცხველის შეცვლის აქტი, მოხსენებითი ბარათი, ექსპერტიზის დასკვნა.

ოქმის შემდგენის განმარტებით 2024 წლის 29 ოქტომბერს შემოვლის დროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონაში გამოვლენილ იქნა დაზიანებული მრიცხველი, რევაზ ხუბუას საცხოვრებელ სახლში. აღნიშნულის გამო მრიცხველი დეტალურად დათვალიერდა და გამოვლინდა ბუნებრივი აირის დატაცების ნიშნები, კერძოდ კი მრიცხველის ამთვლელი მექანიზმის კორპუსს ქვემოდან აღენიშნებოდა გამჭოლი ნახვრეტი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის #008100124 დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარმოდგენილი honeywell BK-G 4 MT მოდელის, №11588396 გაზის მრიცხველის (ლუქი SOCAR 2500082) მთვლელი მექანიზმის დამცავი ხუფი დაზიანებულია და ხუფის ქვედა ჰორიზონტალური ფართის კიდეზე, ლოკალური მონაკვეთია, სადაც ერთმანეთის თანმიმდევრობით ჰორიზონტალურად მდებარე გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვლებია განლაგებული - ნაჭდევების სახით. ამასთანავე, დარღვეულია ხუფის მთლიანობაც და ხუფის ქვედა ჰორიზონტალურ ფართზე, მთვლელი მექანიზმის ბოლო გორგოლაჭის შესატყვის მიდამოში აღინიშნება შეღწევისათვის დამახასიათებელი გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვალი - გამჭოლი ჩანახვრეტის სახით, რომლის გასწვრივ მთვლელი მექანიზმის ჩარჩოზე და ბოლო გორგოლაჭზე გარეშე საგნის მექანიკური ზემოქმედების კვლებია.

ამა წლის 12 თებერვალს შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი #046550 და სხდომა დაინიშნა 4 მარტს. სხდომაზე არ გამოცხადდა რევაზ ხუბუა.

ზემოთაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, მტკიცებულებათა ერთობლიობით, დადგინდა რომ რევაზ ხუბუას მიერ ჩადენილია ქმედება, გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით.

შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბაზაში, რევაზ ხუბუა არ ირიცხება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228<sup>2</sup>, 236-237, 260-ე და 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

#### და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ რევაზ ხუბუა პ/ნ 19001021857 ცნობილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად, სამართალდარღვევა გათვალისწინებული

საქართველოს ასკ-ის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაედოს ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

დადგენილების გამომტანი

